საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №513

თბილისი „22" 04 2019 წ.

2018-2019 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეებისათვის გადასაცემი სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების, „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N776 ბრძანების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის" (დანართი 4) საფუძველზე და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 18 აპრილის N444222 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) 2018-2019 სასწავლო წლის ოქროს მედალოსანი მოსწავლეებისათვის გადასაცემი სერტიფიკატის ფორმა ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) 2018-2019 სასწავლო წლის ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეებისათვის გადასაცემი სერტიფიკატის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი №1

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის
საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებით
დასრულების დამადასტურებელი

ოქროს მედალოსნის სერტიფიკატი

სახელი, გვარი

პირადი № 00000000000
(არსებობის შემთხვევაში)

დაბადების თარიღი: 00/00/0000

GM №0000000

გენერირებული ხელმოწერა

სახელი,გვარი
მინისტრი

გენერირებული
ბეჭდის ადგილი

დანართი №2

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის
საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებით
დასრულების დამადასტურებელი

ვერცხლის მედალოსნის სერტიფიკატი

სახელი, გვარი

2019

პირადი № 00000000000
(არსებობის შემთხვევაში)

დაბადების თარიღი: 00/00/0000

GM № 0000000

გენერირებული ხელმოწერა

სახელი,გვარი
მინისტრი

გენერირებული
ბეჭდის ადგილი